

შპს “დინ გრუპი”

**ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(არააუდირებული)**

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	6
1. შესავალი	6
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	6
3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	11
5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება	12
6. ძირითადი საშუალებები	12
7. არამატერიალური აქტივები	13
8. სხვა გრძელვადიანი აქტივები	13
9. ფული და ფულის ექვივალენტები	13
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
11. მარაგები	14
12. ფინანსური იჯარის ვალდებულება	14
13. სავაჭრო და სხვა მიმდინარე ვალდებულებები	15
14. მოკლევადიანი სესხები	15
15. ამონაგები	15
16. თვითღირებულება	16
17. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	16
18. პირობები და ვალდებულებები	17
19. მოგების გადასახადი	17
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	18

31 აგვისტო, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-18 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „დინ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	<u>6</u>	1 980 318.72	1 815 496.08	1 800 961.01
არამატერიალური აქტივები	<u>7</u>	1 419.52	2 365.86	2 365.86
სხვა გრძელვადიანი აქტივები	<u>8</u>	86 976.06	104 175.42	148 688.53
		2 068 714.30	1 922 037.36	1 952 015.40
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	<u>9</u>	41 198.27	49 429.34	4 899.39
სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მიმდინარე აქტივები	<u>10</u>	190 495.47	162 553.06	444 556.91
მარაგები	<u>11</u>	61 779.83	87 681.81	10 095.19
		293 473.57	299 664.21	459 551.49
მთლიანი აქტივები		2 362 187.87	2 221 701.57	2 411 566.89
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		155 000.00	135 000.00	270 000.00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		462 492.21	502 442.93	281 157.22
		617 492.21	637 442.93	551 157.22
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება	<u>12</u>	595 673.10	740 569.10	1 073 611.83
		595 673.10	740 569.10	1 073 611.83
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მიმდინარე ვალდებულებები	<u>13</u>	785 960.75	450 476.88	541 019.08
მოკლევადიანი სესხები	<u>14</u>	235 000.00	285 000.00	49 995.59
ფინანსური იჯარის ვალდებულება (მიმდინარე ნაწილი)	<u>12</u>	53 650.17	38 867.41	40 312.70
საგადასახადო ვალდებულებები		46 679.45	46 309.85	95 701.28
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		27 732.19	23 035.40	59 769.19
		1 149 022.56	843 689.54	786 797.84
მთლიანი ვალდებულებები		1 744 695.66	1 584 258.64	1 860 409.67
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2 362 187.87	2 221 701.57	2 411 566.89

გენერალური დირექტორი: ნიკოლოზ ეპიტაშვილი

/-----/

31 აგვისტო, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-18 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „დინ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

		31.12.2019	31.12.2018
ამონაგები	15	7 355 648	5 429 073
თვითღირებულება	16	(6 278 928)	(3 672 281)
		-	
საერთო მოგება		1 076 720	1 756 792
		-	
სხვა შემოსავალი		619	-
დასაქმებულთა ანაზღაურება		(642 877)	(894 011)
ცვეთა და ამორტიზაცია	3	(120 798)	(212 516)
საპროცენტო ხარჯი :		(169 198)	(162 884)
იჯარის ხარჯი		(24 530)	(39 480)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	17	(168 546)	(226 528)
		-	
საოპერაციო მოგება		(48 609)	221 374
		-	
		-	
		-	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		(37 216)	(10 051)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		48 062	9 962
ფინანსური ხარჯი - წმინდა		10 845	(88)
მოგება დაბეგვრამდე		(37 763)	221 286
		-	
მოგების გადასახადი	19	(2 187)	-
წმინდა მოგება		(39 951)	221 286
სხვა სრული შემოსავალი:		-	
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
		-	
მთლიანი სრული შემოსავალი		(39 951)	221 286

გენერალური დირექტორი: ნიკოლოზ უპიტაშვილი

/-----/

31 აგვისტო, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-18 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „დინ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	270 000	281 157	551 157
წმინდა მოგება (ზარალი)	-	221 286	221 286
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	221 286	221 286
გაცემული დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(135 000)	-	(135 000)
2018 წლის 31 დეკემბერი	135 000	502 443	637 443
წმინდა მოგება (ზარალი)	-	(39 951)	(39 951)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(39 951)	(39 951)
გაცემული დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	20 000	-	20 000
2019 წლის 31 დეკემბერი	155 000	462 492	617 492

გენერალური დირექტორი: ნიკოლოზ ეპიტაშვილი /-----/

31 აგვისტო, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-18 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს დინ გრუპი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს დინ გრუპი (შემდეგში „კომპანია“) დაარსდა და საგადასახადო ორგანოში დარეგისტრირდა 2014 წლის 19 მარტს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი განაწილებულია შემდეგნაირად: ნიკოლოზ ეპიტაშვილი - 75%, ვახტანგ ამაშუკელი - 25%. აღნიშნული განაწილება არის დღევანდელი მდგომარეობით.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გზების კაპიტალური რემონტი, ბურღვითი სამუშაოები, ტროტუარების მოწყობა, სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების გაყვანა, ბეტონის წარმოება რეალიზაცია და სამშენებლო ტექნიკის იჯარით გაცემა.

კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: მთაწმინდის რაიონი, ჯანაშიას 1. #16-18-20, ოფისი #2, თბილისი, საქართველო.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.6766	2.5922
1 ევრო/ლარი	3.0701	3.1044

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები ღებანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც განპირობებულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ იგი იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და შესაბამისად კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2019 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2019 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ქვივალენტები

ფული და ფულის ქვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე, როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლება შეყიდვის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)

მანქანა დანადგარები	10-15
ავეჯი და ინვენტარი	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-8

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკურ სარგებელსა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე, სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს გუდვილის გარდა, იმ არაფინანსური აქტივებზე, რომელიც გაუფასურდა, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას, თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან

სამშენებლო კონტრაქტებიდან შემოსავლის აღიარება ხდება დასრულების პროცენტული მაჩვენებლის მეთოდის გამოყენებით, რაც გამოითვლება ანგარიშგების თარიღისთვის ფაქტური დანახარჯების პროპორციულად, მთლიან დაგეგმილ ხარჯებთან მიმართებით, თითოეული კონტრაქტისთვის.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება,

რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თნახა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ღივიღენდები

ღივიღენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი ღივიღენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი საადრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

სამშენებლო კონტრაქტის შესრულების პროცენტის შეფასება

კომპანია აღიარებს შემოსავალს სამშენებლო კონტრაქტების შესრულების პროცენტის მეთოდით, რომელიც განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდამდე კონტრაქტზე გაწეული ხარჯის, მთლიანი კონტრაქტის განსაზღვრული ხარჯის წილის შესაბამისად და როდესაც ანაზღაურების მიღება საიმედოდ უზრუნველყოფილია. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ჩათვლის, რომ ოპერაცია ვერ აკამაყოფილებს აღიარების კრიტერიუმს, შემოსავლის აღიარება გადაიდება პირობის შესრულებამდე.

შპს „დინ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შესრულების პროცენტის მეთოდი განისაზღვრება მენეჯმენტის მიერ შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- ა) შესაძლებელია მთლიანი კონტრაქტის ღირებულების საიმედოდ შეფასება;
- ბ) სავარაუდოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში;
- გ) შესაძლებელია როგორც კონტრაქტის მთლიანი დანახარჯის, ასევე კონტრაქტის დასრულების ეტაპის პერიოდის ბოლოს საიმედოდ შეფასება;
- დ) შესაძლებელია კონტრაქტის ხარჯის გარკვევით იდენტიფიცირება და კონტრაქტზე მიკუთვნება, ისე რომ შესაძლებელი იყოს რეალური კონტრაქტზე გაწეული ხარჯების შედარება წინა შეფასებებთან.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

6. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	მანქანა-დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2017	7 513	923 367	16 247	1 046 996	1 994 122
31 დეკემბერი 2018	16 939	1 106 406	26 673	1 555 922	2 705 940
შემოსვლა	16 535	29 479	7 889	427 064	480 967
გადაფასება					-
გასვლა				(100 375)	(100 375)
31 დეკემბერი 2019	33 473	1 135 885	34 562	1 882 611	3 086 532
ცვეთა და გაუფასურება					
31 დეკემბერი 2017	-	(56 607)	(3 080)	(133 474)	(193 161)
31 დეკემბერი 2018	-	(296 577)	(5 899)	(587 968)	(890 444)
პერიოდის ცვეთა	(13 496)	(86 015)	(4 941)	(111 317)	(215 769)
გასვლა					-
31 დეკემბერი 2019	(13 496)	(382 592)	(10 840)	(699 286)	(1 106 213)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2017	7 513	866 759	13 167	913 521	1 800 961
31 დეკემბერი 2018	16 939	809 829	20 774	967 954	1 815 496
31 დეკემბერი 2019	19 978	753 293	23 722	1 183 326	1 980 319

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შპს „დინ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

31.12.2019 - ის მდგომარეობით საშუალებები შეფასებულია თვითღირებულების მოდელით.

ცვეთის მეთოდი: წრფივი

მანქანა-დანადგარების კლასში 360 104.00 ლარის საბალანსო ღირებულების აქტივი წარმოადგენს თიბისი ლიზინგისგან ფინანსური იჯარით მიღებულ მანქანა-დანადგარებს, რომელიც 31.12.2019 -ის მდგომარეობით არ არის გამოსყიდული სრულად (შენიშვნა 9).

სატრანსპორტო საშუალებების კლასში 436 512.00 ლარის საბალანსო ღირებულების აქტივი წარმოადგენს თიბისი ლიზინგისგან ფინანსური იჯარით მიღებულ სატრანსპორტო საშუალებებს, რომელიც 31.12.2019 -ის მდგომარეობით არ არის გამოსყიდული სრულად (შენიშვნა 9).

სატრანსპორტო საშუალებების კლასში 185 404.00 ლარის საბალანსო ღირებულების აქტივები წარმოადგენს საქართველოს სალიზინგო კომპანიისგან ფინანსური იჯარით მიღებულ სატრანსპორტო საშუალებებს, რომელიც 31.12.2019 -ის მდგომარეობით არ არის გამოსყიდული სრულად (შენიშვნა 9).

საწარმოს აქვს იჯარით აღებული სამეურნეო ბაზა, რომელზეც განთავსებულია საწყობი და დამონტაჟებულია ბეტონის ქარხანა, 2017-2018-2019 წლებში განხორციელდა ამ ფართის რემონტი, შენობების კლასში მოცემულია სწორედ ამ იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა, საკუთარი შენობა კომპანიას არ აქვს.

7. არამატერიალური აქტივები

	2019	2018
ბუღალტრული პროგრამა "ორისი"	2 366	2 366
სულ	2 366	2 366

8. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	2019	2018
ლიზინგის გადავადებული ჩასათვლელი დღგ	86 976	104 175
სულ	86 976	104 175

9. ფული და ფულის ექვივალენტები

	2019	2018
ფული სალაროში	22 250	24 246
ფული საბანკო ანგარიშებზე	18 949	25 183
სულ	41 198	49 429

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შპს „დინ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები მიწოდებიდან	160 771	155 499
გადახდილი ავანსები	29 725	6 893
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	0	161
სულ	190 495	162 553

11. მარაგები

	2019	2018
ნედლეული და მასალები	61 780	74 677
დაუმთავრებელი წარმოება	0	-
მზა პროდუქცია	0	-
სულ	61 780	74 677

საწარმოს საქმიანობას წარმოადგენს ბეტონის წარმოება, მზა პროდუქციის ხასიათიდან გამომდინარე საწარმოს არ რჩება დაუმთავრებელი წარმოებისა და მზა პროდუქციის მარაგი ნაშთში. ნედლეული და მასალები მოიცავს როგორც ბეტონის წარმოებისთვის საჭირო მასალებს ასევე საგზაო სამუშაოების შესასრულებლად, საკომუნიკაციო არხების მოწყობის მომსახურების გასაწევად საჭირო და ძირითადი საშუალების საექსპლუატაციო მასალებს (საცხებ-საპოხი და საწვავი მასალები)

12. ფინანსური იჯარის ვალდებულება

	2019	2018
გრძელვადიანი	595 673	740 569
თიბისი ლიზინგი	483 461	428 742
საქართველოს სალიზინგო კომპანია	112 212	311 827
შპს სითი - 404925391	0	-
მიმდინარე ნაწილი	53 650	38 867
თიბისი ლიზინგი (მიმდინარე ნაწილი)	25 201	22 523
საქართველოს სალიზინგო კომპანია (მიმდინარე ნაწილი)	28 449	16 345
შპს სითი - 404925391 (მიმდინარე ნაწილი)	0	-
სულ ფინანსური იჯარა	649 323	779 437

კომპანიას აქტივებს უმეტესი ნაწილი მიღებული აქვს ფინანსური იჯარით (ლიზინგით) (შენიშვნა 6). აქტივების ღირებულება განსაზღვრულია დისკონტირებულ და სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სალიზინგო ხელშეკრულებების თანახმად ყველაზე გრძელვადიანი კონტრაქტის ვადა არის 3 წელი. გრძელვადიანის მიმდინარე ნაწილში წარმოდგენილია 31.12.2018 წლისთვის ვადადამდგარი დავალიანების ნაწილი რომელიც არ დაფარულა.

შპს „დინ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

13. სავაჭრო და სხვა მიმდინარე ვალდებულებები

	2019	2018
სავაჭრო ვალდებულებები	742 511	369 586
ვალდებულება ფიზიკური პირების წინაშე გარდა თანამშრომლებისა	39 315	21 382
მიღებული ავანსები	4 135	59 509
სულ	785 961	450 477

14. მოკლევადიანი სესხები

მოკლევადიანი სესხები	2019	2018
საბანკო ოვერდრაფტი	-	-
საკრედიტო ხაზი	235 000	285 000
სულ სესხები	235 000	285 000

საკრედიტო ხაზი წარმოადგენს საქართველოს ბანკის 1 წლიან სესხს, საპროცენტო განაკვეთი 2018 წლისთვის შეადგენს 12.6%-ს, 2019 წლისთვის კი 12%-ს, გაკუთვნილი იყო საბრუნავი საშუალებების შესაძენად.

საბანკო ოვერდრაფტი წარმოადგენს მოთხოვნისთანავე დაფარვად სესხს, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 10%-ს (2017 წელს 10%).

15. ამონაგები

	2019	2018
მაგთის პროექტიდან	210 123	837 463
საგზაო სამუშაოებიდან	4 675 001	2 369 846
საქონლის გაყიდვიდან	0	354 426
მზა პროდუქცია - ბეტონის რეალიზაციიდან	1 897 366.46	1 400 925
ტექნიკის გაქირავებიდან	35 873	49 110
შემოსავალი ბურღვითი სამუშაოებიდან (კროტები)	537 284	417 303
სულ	7 355 648	5 429 073

საწარმოს 2018-2019 წლებში ჰქონდა საქმიანობის ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებები, კერძოდ: წარმოადგენდა მაგთიკომის გენერალურ კონტრაქტორს და ასრულებდა საკომუნიკაციო არხების მოწყობის მომსახურებას, საგზაო სამუშაოები გულისხმობს ასფალტ-ბეტონის მოწყობის მომსახურებას სახელმწიფო და კერძო დამკვეთებისთვის, საქონლის გაყიდვა (2018) გულისხმობს სამშენებლო მასალების ყიდვა-გაყიდვას, მზა პროდუქციის გაყიდვიდან შემოსავლები არის ბეტონის წარმოება-რეალიზაცია, ტექნიკის გაქირავება გულისხმობს სამშენებლო მანქანა დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების გაქირავებას, საწარმო 2018-19 წელს წარმოადგენდა ასევე შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის და სს თელასის გენერალურ კონტრაქტორს და მათ და სხვა კერძო დამკვეთებსაც საკომუნიკაციო არხების გაყვანის მომსახურებას უწევდა კროტებით (ჰორიზონტალურ ბურღვითი დანადგარებით). 2019 წლის აპრილში საწარმომ გააუქმა გენერალური კონტრაქტი მაგთიკომთან და შეწყვიტა ამ მიმართულებით საქმიანობა, ეს განაპირობა ბაზარზე მასალისა და მომსახურების ფასების გაძვირებამ, რაც თავის მხრივ იწვევდა საერთო მოგების შემცირებას.

შპს „დინ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

16. თვითღირებულება

	2019	2018
მაგთის პროექტთან დაკავშირებული ხარჯები	-98 227	(391 498)
საგზაო სამუშაოების (ტენდერების) თვითღირებულება	-3 848 065	(1 547 603)
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	15 464	(13 471)
რეალიზებული ბეტონის თვითღირებულება	-1 794 037.51	(1 311 966)
ტექნიკის ექსპლუატაციის ხარჯი	-314 689	(215 969)
ბურღვითი სამუშაოების (კროტების) თვითღირებულება	-239 374	(191 774)
სულ	(6 278 927)	(3 672 281)

თითოეული პროექტის თვითღირებულება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ძირითადი და დამხმარე მასალის ხარჯს, ხელფასის ხარჯს, გარე კონტრაქტორების მომსახურების ხარჯს, ტექნიკის იჯარას, მცირე ფასიანი ინვენტარის ხარჯს, საწვავის ხარჯს, პირდაპირი ტექნიკის და მანქანა დანადგარების საექსპლუატაციო ხარჯს, პირდაპირი იჯარის ხარჯს, კომუნალურ ხარჯს და სხვა პირდაპირ ხარჯებს.

17. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2019	2018
რეკლამის ხარჯები	-4 779	-4 543
მივლინების ხარჯი	-666	-1 444
საკანცელარიო ხარჯი	-1 114	-2 858
საწვავის დანახარჯები - ადმინისტრაცია	-25 379	-15 456
სამეურნეო ხარჯი	-60	-1 522
კომუნალური ხარჯი	-3 888	-3 570
კომუნიკაციის ხარჯები	-9 738	-10 729
სადაზღვევო ხარჯი (ტენდერის გარანტიები)	-27 195	-8 787
ქონების დაზღვევა	-74	-2 528
სატრანსპორტო საშუალებების და დანადგარების რემონტი	0	-2 519
ბაზის/საწყობის მიმდინარე რემონტი	-64	-70
კომპიუტერის ხარჯები	-136	-409
პროგრამული მომსახურება	-2 330	-1 050
ბუღალტრული მომსახურება	-66 000	-38 500
იურიდიული მომსახურება	-4 000	0
აუდიტორული მომსახურება	0	-23 891
წარმომადგენლობითი ხარჯები	0	-9 093
ტექნიკებით მომსახურების ხარჯი	0	-39 602
სხვადასხვა მომსახურება	0	-46 109
ტენდერში მონაწილეობის ხარჯი	0	-2 534
ბანკის საკომისო	-3 697	-6 341
ოფისის ჰიგიენის და სხვა ხარჯი	-1 971	-2 077
ჯიპიესის მომსახურება	-5 831	-2 898
ქონების გადასახადის ხარჯი	-11 624	0
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-168 546	-226 528

18. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ხშირად ქონდეს. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ეჭვქვეშ იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განახორციელონ და შესაძლებელია რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული, როგორსაც წარსულში არ ქონია ადგილი. შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება. შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების არარსებობა არ დაფიქსირებულია.

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2018 წლის 31 დეკემბერი მდგომარეობით: ნოლი).

19. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მიმართ ამოქმედდა ცვლილებები. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა ქართული კომპანიისთვის, გარდა ბანკების, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, რომელთათვისაც აღნიშნული კანონი ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან შევა. ახალი რეგლამენტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ 2008-2016 წლებში მიღებული აღნიშნული სახის საშემოსავლო გადასახადი გადაიხადონ მიმდინარე რეგულირების შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება აღნიშნულ საშემოსავლო გადასახადს.

ზემოთ აღწერილი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის დაწესებას გარკვეულ გარიგებებზე, რომლებიც ითვლება მოგების განაწილების გათვალისწინებით,

მაგალითად ზოგიერთი გარიგება არასაბაზრო ფასში, არა ბიზნესთან დაკავშირებული ფასები ან საქონლის უფასო მიწოდება. ასეთი გარიგების დაბეგვრა ბასს 12 საშემოსავლო გადასახადის ფარგლებს მიღმა და დაიწყება 2017 წლის 1 იანვრიდან საოპერაციო გადასახადების მსგავსად.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი გარემოებები დაფიქსირდა: კორონა ვირუსის სწრაფმა გავრცელებამ, რომელიც პანდემიად იქნა გამოცხადებული მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოიწვია მნიშვნელოვანი არამდგრადობა, რომელიც გავლენას ახდენს გლობალურ ბიზნესსა და ეკონომიკურ საქმიანობაზე. იზრდება ალბათობა, რომ პანდემიისას განვითარებულმა მოვლენებმა და მისი შეკავების ღონისძიებებმა დიდი გავლენა იქონიოს ეკონომიკაზე და შესაძლოა გამოიწვიოს გლობალური რეცესია. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება მოვლენების განვითარებას და ინფექციის გავრცელების შესაძლო გავლენას კომპანიის საქმიანობაზე, კერძოდ, ბიზნეს მოდელზე, მომსახურების მიწოდებაზე, მომხმარებლებსა და სამუშაო კაპიტალზე, თუმცა ხელმძღვანელობის შეფასებით, ზემოხსენებული ნეგატიური ფაქტორი არ შეუშლის ხელს კომპანიას საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

საწარმომ 2020 წლის იანვრის ბოლოს დახურა ბეტონის წარმოების მიმართულება, მარტის თვეში გაყიდა ბეტონის ქარხანა და მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებები, ხელმძღვანელობამ აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო ბაზრის კვლევისა და საქმიანობის შედეგებზე დაყრდნობით, და არა ზემოთ ხსენებული პანდემიის გათვალისწინებით. შესაბამისად საქმიანობის პრიორიტეტს ამ პერიოდიდან წარმოადგენს საგზაო სამშენებლო მომსახურების მიმართულება.

სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებს საანგარიშო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია.

შპს „დინ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	1 980 318.72	1 815 496.08	1 800 961.01
არამატერიალური აქტივები	7	1 419.52	2 365.86	2 365.86
სხვა გრძელვადიანი აქტივები	8	86 976.06	104 175.42	148 688.53
		2 068 714.30	1 922 037.36	1 952 015.40
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	41 198.27	49 429.34	4 899.39
სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მიმდინარე აქტივები	10	190 495.47	162 553.06	444 556.91
მარაგები	11	61 779.83	87 681.81	10 095.19
		293 473.57	299 664.21	459 551.49
მთლიანი აქტივები		2 362 187.87	2 221 701.57	2 411 566.89
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		155 000.00	135 000.00	270 000.00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		462 492.21	502 442.93	281 157.22
		617 492.21	637 442.93	551 157.22
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება	12	595 673.10	740 569.10	1 073 611.83
		595 673.10	740 569.10	1 073 611.83
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მიმდინარე ვალდებულებები	13	785 960.75	450 476.88	541 019.08
მოკლევადიანი სესხები	14	235 000.00	285 000.00	49 995.59
ფინანსური იჯარის ვალდებულება (მიმდინარე ნაწილი)	12	53 650.17	38 867.41	40 312.70
საგადასახადო ვალდებულებები		46 679.45	46 309.85	95 701.28
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		27 732.19	23 035.40	59 769.19
		1 149 022.56	843 689.54	786 797.84
მთლიანი ვალდებულებები		1 744 695.66	1 584 258.64	1 860 409.67
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2 362 187.87	2 221 701.57	2 411 566.89

გენერალური დირექტორი: ნიკოლოზ ეპიტაშვილი



31 აგვისტო, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-18 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „დინ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

**სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

		31.12.2019	31.12.2018
ამონაგები	<u>15</u>	7 355 648	5 429 073
თვითღირებულება	<u>16</u>	(6 278 928)	(3 672 281)
საერთო მოგება		1 076 720	1 756 792
სხვა შემოსავალი		619	-
დასაქმებულთა ანაზღაურება		(642 877)	(894 011)
ცვეთა და ამორტიზაცია	<u>3</u>	(120 798)	(212 516)
საპროცენტო ხარჯი :		(169 198)	(162 884)
იჯარის ხარჯი		(24 530)	(39 480)
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	<u>17</u>	(168 546)	(226 528)
საოპერაციო მოგება		(48 609)	221 374
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		(37 216)	(10 051)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		48 062	9 962
ფინანსური ხარჯი - წმინდა მოგება დაბეგვრამდე		10 845	(88)
მოგების გადასახადი	<u>19</u>	(2 187)	-
წმინდა მოგება		(39 951)	221 286
სხვა სრული შემოსავალი:		-	-
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(39 951)	221 286

გენერალური დირექტორი: ნიკოლოზ ეპიტაშვილი




31 აგვისტო, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-18 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „დინ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	270 000	281 157	551 157
წმინდა მოგება (ზარალი)	-	221 286	221 286
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	221 286	221 286
გაცემული დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(135 000)	-	(135 000)
2018 წლის 31 დეკემბერი	135 000	502 443	637 443
წმინდა მოგება (ზარალი)	-	(39 951)	(39 951)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(39 951)	(39 951)
გაცემული დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	20 000	-	20 000
2019 წლის 31 დეკემბერი	155 000	462 492	617 492

გენერალური დირექტორი: ნიკოლოზ ეპიტაშვილი

/-----



31 აგვისტო, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-18 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.